

დავით ზალკალიანი - ამერიკელი პარტიორები ვერ ხედავენ მკაფიოობას ოფიციალური თბილისიდან, რომ მათ მართლაც სურთ ნატო-ში ინტეგრაცია

17:49 24-05-2015

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი ალექსი პეტრიაშვილი და „ლევან მიქელაძის ფონდის“ პრეზიდენტი დავით ზალკალიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების დეტალებზე "ინტერპრესნიუსი" "ლევან მიქელაძის ფონდის" პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, დავით ზალკალიანს ესაუბრა.

- თქვენ და ალექსი პეტრიაშვილი 10-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. რა იყო ამ ვიზიტის მიზანი და ვისთან გამართეთ შეხვედრები?

- ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფებოდით კონფერენციაზე, რომელიც ორგანიზებული იყო "ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის" და აშშ-ში ბრუკინგის ინსტიტუტის მიერ ერთობლივად. კონფერენციის სახელწოდება იყო: "საქართველო ახალ უსაფრთხოების გარემოში". ეს იყო ძალიან წარმომადგენლობითი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, ცნობილი ანალიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ საქართველოზე; საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ერიკ რუბინმა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწემ მაიკლ კარპენტერმა.

მე და ბატონ ალექსის საშუალება გვქონდა გამოვსულიყავით სიტყვით ამ კონფერენციაზე და გვესაუბრა იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს საქართველოს წინაშეა, განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში; ასევე საქართველოს მისწრაფებაზე, რაც შეიძლება სწრაფად იყოს ინტეგრირებული ევროატლანტიკურ სივრცეში; ასევე იმ საფრთხეებზე, რომელიც მოდის რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

კონფერენცია იყო ორ პანელად გაყოფილი. პირველ ნაწილში საუბარი იყო რეგიონზე და რეგიონის გამოწვევებზე უსაფრთხოების სფეროში, ხოლო მეორე ნაწილი მიემდგვნა ეკონომიკურ საკითხებს. აქ საკმაოდ საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს, მარკ გრიფითს, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს, როგორც არის მაიკლ ჩეჩირე, ასევე აშშ-ის ყოფილი ელჩები უილიამ კორტნი და კენეტ იალოვეცი.

ჩვენი ამერიკელი პარტიორების მხრიდან ითქვა, რომ ბოლო 6-7 თვის განმავლობაში ასეთი მასშტაბური და წარმომადგენლობითი კონფერენცია, რომელსაც უნდა ემსჯელა საქართველოს საკითხებზე, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში არ ჩატარებულა. მე მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ბრუკინგის ინსტიტუტის და აშშ-ში ლევან მიქელაძის კავკასიის სწავლების ფონდის მიმართ, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს

აღნიშნულ ღონისძიებას.

გარდა ამისა, მე და ალექსი პეტრიაშვილს გვქონდა შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. შევხვდით კონგრესმენ ადამ კინზინგერს, დევიდ პრაისს, ტედ პოს. ეს კონგრესმენები საქართველოს მეგობრები არიან და აქტიურად მუშაობენ კონგრესში საქართველოს ინტერესების დასაცავად.

ასევე გვქონდა შეხვედრა სენატორ მარკო რუბიოს საგარეო ურთიერთობათა საკითხებში მრჩეველებთან. რუბიო გახლავთ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი. ასევე შევხვდით სენატორ ჯეიმს რიშის და სენატის სპიკერის, ზონერის მრჩეველებს საგარეო ურთიერთობათა საკითხებში. განვიხილეთ ამერიკა-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების საკითხები და ასევე ის სერიოზული საფრთხეები და გამოწვევები, რომლის გამკლავებაც ჩვენს ქვეყანას უხდება.

- შეხვედრაზე ამერიკული მხარის წარმომადგენლების მხრიდან აქცენტები რაზე გაკეთდა და როგორ აფასებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

- ისინი სრულყოფილად ფლობენ სიტუაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში, კერძოდ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასევე, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით და ეკონომიკური გამოწვევების კონტექსტში. მაგრამ, მე ძალიან დიდი გულისტკივით მინდა აღვნიშნო ერთი რამ - ჩვენს ყველა შეხვედრას ლაიტმოტივად გასდევდა ის, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო 6-7 თვის განმავლობაში, არ შეიმჩნევა აქტიურობები. განსაკუთრებით ამერიკის კონგრესთან და სენატთან მიმართებაში საქართველოს მხრიდან არ ხდება აქტიური ქმედებები. ეს რა თქმა უნდა მე არ მახარებს და არ შეიძლება აქ ნიშნის მოგებით ან ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან ამის ცქერა, მაგრამ უნდა აღვნიშნოს, რომ როდესაც ჩვენ მათ ვესაუბრებოდით იმ პრობლემაზე, საფრთხეებზე, რომელიც დღეს არის რუსეთის მხრიდან, ე.წ. რბილი ძალის გამოვლენაზე, იმაზე, რომ გარკვეულწილად შესუსტებულია მხარდაჭერა ჩვენი პარტნიორების მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ამას ჩვენი პარტნიორები, მასპინძლები რა თქმა უნდა იღებდნენ, მაგრამ იქვე აღვნიშნავდნენ, რომ სამწუხაროდ, ამაზე მუდმივი აპელირება არ ხდება საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან. მაშინ, როდესაც ქართულ მხარეს შესუსტებული აქვს აქცენტები, ეს გარკვეულწილად იწვევს ჩვენი ამერიკელი პარტნიორების გაკვირვებას და დაბნეულობას. მათ აღვნიშნეს, რომ ვერ ხედავენ მკაფიოობას და თანმიმდევრულობას ოფიციალური თბილისიდან, რომ მათ მართლაც სურთ ნატო-ში ინტეგრაცია და რომ ეს არის საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

- თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?

- მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით სერიოზული საქმიანობაა განსახორციელებელი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. აუცილებლად უნდა გააქტიურდეს ხელისუფლება და მთავრობა, განსაკუთრებით ამერიკელ პარტნიორებთან მიმართებაში. გააქტიურება პირველ რიგში აუცილებელია კონგრესმენებთან და სენატორებთან, ასევე, მათ მრჩეველებთან, რომლებიც არიან პასუხისმგებელი და მათ აქვთ სერიოზული ინფორმაცია საქართველოში

მიმდინარე პროცესების შესახებ, მათთან იყოს ძალიან სერიოზული და მუდმივი კონტაქტი.

- როგორ ფიქრობთ, აღარ არის ქართული მხარისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაღრმავება პრიორიტეტული, თუ ვერ ხვდებიან ამის მნიშვნელობას ხელისუფლებაში?

- ძალიან რთულია ამაზე საუბარი, არ მინდა სპეკულაცია გამომივიდეს. ჩემი აღქმა ამ სიტუაციის არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულწილად ფრთხილობს და მე ვფიქრობ, ეს არის გაუმართლებელი სიფრთხილე. ისინი ფიქრობენ, რომ თუ საქართველოს საკითხი იქნება გარკვეულწილად მივიწყებული და არ იქნება წინა პლანზე წამოწეული საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, იგივე ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან, ეს ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას "თავი დავიძვრიოთ" ასე ვთქვათ იმ საფრთხეებისგან, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ ამ აღქმასთან გვაქვს საქმე. საქართველოს ხელისუფლება უფრო ამ მიმართულებით ფიქრობს, რაც ვფიქრობ, რომ არის შეცდომა. პირიქით, ჩვენი პასუხი იმ საფრთხეებზე და იმ გამოწვევებზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარეობს, უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი აქტიურობა, მეტი კონტაქტი ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან; უნდა მოხდეს მათი დაინტერესება საქართველოს საკითხით, რომ გაუჩნდეთ აღქმა იმისა, რომ ჩვენი საკითხი არის ძალიან მწვავე, რომ ის საფრთხეები, რომელიც საქართველოს წინაშე არის, არის მართლაც სერიოზული. ჩვენთვის აუცილებელია, რომ საქართველო, მათი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დღის წესრიგში, ავიდეს რაც შეიძლება მაღალ დონეზე. ჩვენ გვეუბნებიან დღეს, რომ საქართველო გამქრალია ამერიკის შეერთებული შტატების რადარებიდან, ამიტომ, ჩვენ აუცილებლად უნდა გავაჩინოთ მათ რადარებზე, აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი საკითხით მუდმივი დაინტერესება ჩვენი პარტნიორების მხრიდან, რათა მათ თავის მხრივ ამ საკითხის გააქტიურება, ჩვენს საკითხებზე მსჯელობა გააძლიერონ რუსეთის ფედერაციასთან მათ ორმხრივ დიალოგში.

ნანა ხიდემელი

"ინტერპრესნიუსი"